სამინისტროების 2021 წლის 9 თვის ბიუროკრატიული ხარჯების ანალიზი

Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ბლოგპოსტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4
შესავალი 5
შრომის ანაზღაურების ხარჯები 7
სამივლინებო ხარჯები 10
წარმომადგენლობითი ხარჯები 12
ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების ხარჯი 14
სამინისტროებში განხორციელებული შიდა აუდიტები 16
დასკვნა 19

ძირითადი მიგნებები

სამინისტროების 2021 წლის 9 თვის ბიუროკრატიული ხარჯების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს, გასულ წელთან შედარებით, მივლინების გარდა, ხარჯების ყველა ძირითად კატეგორიაში აღინიშნება ხარჯების ზრდა.

- შრომის ანაზღაურების ხარჯი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გარდა, ყველა სამინისტროში გაზრდილია.

- სამინისტროებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ყველაზე დიდი შრომის ანაზღაურების, მივლინების, ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს გაწეული.

- ზოგიერთ შემთხვევაში შრომის ანაზღაურების შესახებ მონაცემები ვერ მივიღეთ ჩაშლილი სახით (თანამდებობრივი სარგო, დანამატი, ფულადი ჯილდო).

- წარმომადგენლობითი ხარჯები, სარესტორნო მომსახურების გამწევი კომპანიების მითითებით, მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტრომ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წარმოადგინა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ჯამური 26,500 ლარიდან 11,000 ლარზე მეტი მმართველი პარტიის შემომწირველი პირებთან დაკავშირებულ რესტორნებშია გადახდილი.

- სამინისტროების შიდა აუდიტორული ანგარიშები მხოლოდ სამმა სამინისტრომ მოგვაწოდა, 6 სამინისტროს მხრიდან უმეტეს შემთხვევაში უარის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ შიდა აუდიტის დოკუმენტაცია არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, ან, რომ შეიცავს პერსონალურ თუ სხვა სახის სენსიტიურ ინფორმაციას, რის გამოც საჯარო უწყებას არ აქვს უფლება გასცეს მსგავსი დოკუმენტაცია.

შესავალი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს ბიუჯეტის შესრულების 3 თვის, 6 თვის, 9 თვისა და 12 თვის ანგარიშებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია შესაბამისი პერიოდისათვის მხარჯავი დაწესებულებების მიერ გაწეული ხარჯები და ანალიზი. ამ ეტაპზე სამინისტროს გამოქვეყნებული აქვს 2021 წლის მხოლოდ 9 თვის ანგარიში, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად პანდემიისა, 2020 წლის იმავე პერიოდის ხარჯებთან შედარებით გასულ წელს, **მივლინების გარდა, ყველა კატეგორიაში მატება აღინიშნება.**



ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში, ცალკეული უწყებების მიხედვით, შესაძლებელია მხოლოდ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ მონაცემების გაცნობა.
ამ მიმართულებით უმეტეს სამინისტროებში, 2020 წელთან შედარებით, ჯამური ანაზღაურების თანხები გაზრდილია. მაგალითად:



თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში სამინისტროების შრომის ანაზღაურების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ჯამურად და მოიცავს პროგრამის განმახორციელებელი სსიპების თანხებსაც. ამასთან, არ არის ჩაშლილი თანამდებობრივი სარგოს, დანამატისა და ფულადი ჯილდოს შესახებ ინფორმაცია. ასევე, ყველა სხვა ხარჯის კატეგორიაშიც მოცემულია არა მხოლოდ სამინისტროს, არამედ მის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა უწყებების ხარჯებიც.

იმის გასარკვევად, თუ რა ბიუროკრატიული ხარჯები გასწიეს 2021 წლის 9 თვეში მხოლოდ სამინისტროებმა, IDFI-მ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდში შრომის

ანაზღაურების შესახებ ჩაშლილად, მათ შორის თანამდებობის პირებზე გაცემული თანხები ცალ-ცალკე, სამივლინებო ხარჯების, წარმომადგენლობითი ხარჯების, ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების ხარჯებისა და სამინისტროებში განხორციელებული შიდა აუდიტების შესახებ.

ინფორმაცია მივიღეთ 9 სამინისტროსგან. პასუხი არ მოუწოდებიათ, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს. აღნიშნული 9 თვე ემთხვევა 2021 წლის პარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდს. ამასთან, კორონავირუსის პანდემიის პირობებში საჯარო დაწესებულებების დიდი ნაწილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე იყვნენ გადასულები. დროთა განმავლობაში კი მოქმედებდა კომენდანტის საათი და საჯარო ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებული იყო. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით, IDFI-მ გაანალიზა 2021 წლის 9 თვეში სამინისტროების მიერ ძირითად მიმართულებებზე გაწეული ხარჯები.

შრომის ანაზღაურების ხარჯები

9 სამინისტროდან მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შრომის ანაზღაურების კატეგორიაში, **ყველაზე დიდი ხარჯი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასწია**. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში, ცხრილში მოცემული თანხები მოიცავს მხოლოდ სამინისტროების შრომის ანაზღაურების ხარჯს (თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში, მხოლოდ სამოქალაქო ოფისის ხარჯებს).



სამინისტრო	საშტატო თანამშრომლებზე გაცემული ანაზღაურება	შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული ანაზღაურება
შინაგან საქმეთა სამინისტრო	284,406,474.96	9,729,575.59
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	4,499,837.91	397,280.77
ფინანსთა სამინისტრო	4,352,356.00	477,194.00
განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო	4,067,170.94	1,580,806.37
იუსტიციის სამინისტრო	3,155,564.92	569,089.09
თავდაცვის სამინისტრო	3,155,564.92	569,089.09
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,805,051.66	1,804,515.81
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,572,675.00	443,098.00
საგარეო საქმეთა სამინისტრო	6,850,174.82	1,080,055.67

სამინისტრო	თანამშრომელთა რაოდენობა
შინაგან საქმეთა სამინისტრო	19,173
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	250
ფინანსთა სამინისტრო	234
განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო	243
იუსტიციის სამინისტრო	193
თავდაცვის სამინისტრო	654
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	283

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	125
საგარეო საქმეთა სამინისტრო	400

შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, თანამდებობის პირებზე გაცემულმა სარგოს, პრემიის და დანამატის ოდენობამ შეადგინა - 26,368,288 ლარი. სამინისტროს სხვა თანამშრომლებზე გაცემულმა სარგოს, პრემიის და დანამატის ოდენობამ შეადგინა - 258,038,185 ლარი. ხოლო, შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურებამ შეადგინა - 9,729,575 ლარი. სამინისტროს არ აქვს ჩაშლილი თანხები თანამდებობრივი სარგოს, პრემიისა და დანამატის მიხედვით. შესაბამისად, რთულია იდენტიფიცირება, შრომის ანაზღაურების რომელ კატეგორიაში, რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა. 2021 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით, სამინისტროში დასაქმებული იყო 19,173 თანამშრომელი.

შრომის ანაზღაურების ყველაზე მაღალი ხარჯების მქონე რიგით მეორე სამინისტრო **თავდაცვის სამინისტროა**, 9 თვის განმავლობაში გადახდილი 15 მლნ ლარზე მეტით. აქედან შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე 1.7 მლნ ლარზე მეტი მოდის, თანამდებობის პირების ანაზღაურებაზე 4.6 მლნ ლარი, ხოლო სამოქალაქო ოფისის დანარჩენი თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაში 10.5 მლნ ლარი დაიხარჯა. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების კატეგორიებს, შემდეგნაირად ნაწილდება:

თანამდებობრივი სარგო	**12,203,368**
დანამატი	**1,055,887**
ფულადი ჯილდო	**130,623**

თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში 2021 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით, სულ დასაქმებული იყო 654 თანამშრომელი (შტატიანი და შტატგარეშე).

საგარეო საქმეთა სამინისტროს შრომის ანაზღაურებაში ჯამში 8 მილიონ ლარამდე აქვს დახარჯული. აქედან საშტატო თანამშრომლების ანაზღაურებამ 6.8 მლნ ლარზე მეტი შეადგინა, შტატგარეშე თანამშრომლებისამ კი - 1 მლნ ლარზე მეტი. შრომის ანაზღაურებაში თანამდებობრივი სარგოს, დანამატისა და ჯილდოს წილი შემდეგნაირია:

	საშტატო	შტატგარეშე
თანამდებობრივი სარგო	6,813,395	1,076,905
დანამატი	18,979	3,100
ჯილდო	17,800	0

თანამდებობის პირებზე გაცემულმა დანამატმა 9,600 ლარი შეადგინა, ხოლო ჯილდომ - 14,400 ლარი.

განათლების სამინისტროს შრომის ანაზღაურებაში იმავე პერიოდში 5.6 მლნ ლარზე მეტი აქვს დახარჯული. მათ მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული თანხიდან 1.6 მლნ ლარამდე შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურებას უკავია. ამასთან, 4 მლნ ლარზე მეტი თანამდებობრივ სარგოზე მოდის, ხოლო 45,600 ლარამდე - საკლასო დანამატზე, ხოლო ფულადი ჯილდო საერთოდ არ გაცემულა.

სამივლინებო ხარჯები

2021 წელს კორონავირუსის გავრცელების გამო შეზღუდული იყო საერთაშორისო გადაადგილება, რის გამოც, 2020 წლის მსგავსად, მოსალოდნელი იყო სამივლინებო ხარჯების კლება. მიუხედავად ამისა, სამინისტროების მიერ გაწეული სამივლინებო ხარჯების ჯამურმა მოცულობამ 941,000 ლარზე მეტი შეადგინა. ფინანსთა სამინისტროს მსგავსი ხარჯი 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით საერთოდ არ გაუწევია.



სამივლინებო ხარჯების მიმართულებით ყველაზე დიდი თანხა **საგარეო საქმეთა სამინისტრომ** გაწია და ჯამში 2021 წლის 9 თვეში 531,475 ლარი შეადგინა.

ხარჯები კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

დღიური ნორმა	სასტუმროს ხარჯი	მგზავრობის ხარჯი	წარმომადგენლობითი ხარჯი	ვიზის ხარჯი	მივლ. პირის სხვა ხარჯი
101,952.07	218,879.47	200,671.86	4,700.88	0.00	5,271.47

მივლინებებში ჯამურად ყველაზე დიდი ხარჯები გასწიეს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკანიანმა - 76,917 ლარი, მინისტრის პირველმა მოადგილემ, ლაშა დარსალიამ - 50,228 ლარი და დეპარტამენტის დირექტორმა, პაატა ბატიაშვილმა - 41,902 ლარი.

საქართველოსათვის Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების მოსაპოვებლად მაღალი დონის შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე ღვთისიაშვილი, რომელიც 2021 წლის 1-20 მარტს იმყოფებოდა ინდოეთის რესპუბლიკაში. ვიზიტში სამინისტრომ ჯამურად 17,000 ლარამდე ხარჯი გასწია.

ამ მიმართულებით მეორე ყველაზე მაღალხარჯიანი უწყება **შინაგან საქმეთა სამინისტროა** 158,320 ლარით, თუმცა, სამინისტროს არ აქვს წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, სად იყო მივლინება, რამდენი დღით, რამდენი პირი მონაწილეობდა, აღნიშნული თანხები როგორ განაწილდა მგზავრობაზე, სასტუმროსა და დღიურ ანაზღაურებაზე.

რაც შეეხება **თავდაცვის სამინისტროს**, რომელმაც სამივლინებო ხარჯებში 120,000 ლარზე მეტი დახარჯა, ინფორმაცია წარმოდგენილი აქვს კვარტლების მიხედვით და ასევე მითითებულია მივლინების ადგილი, იმ პირების თანამდებობები, რომლებიც იმყოფებოდნენ მივლინებაში. ხარჯები კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

მგზავრობა	საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი	სადღეღამისო ნორმა	ვიზა	მივლინებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი
57,188.7	35,096.42	26,655.93	0	1,364.86

განათლების სამინისტროს სამივლინებო ხარჯებმა 65,000 ლარზე მეტი შეადგინა. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული თანხა ჯამში 5 მივლინებაზე დაიხარჯა, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკში მივლინებაზე მოდის, რომელიც ჯამში 48,000 ლარზე მეტი დაჯდა. ხარჯები შესაბამის კატეგორიებში კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

დღიური ნორმა	სასტუმროს ხარჯი	მივლინებული პირის სხვა ხარჯი	მგზავრობის ხარჯი
8,533.96	30,774.13	376.34	25,736.90

წარმომადგენლობითი ხარჯები

შვიდმა სამინისტრომ 2021 წლის 9 თვის განმავლობაში 1,337,000 ლარამდე წარმომადგენლობითი ხარჯი გასწია. მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, მსგავსი ხარჯი არ უფიქსირდება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს.



წარმომადგენლობითი ხარჯების მიმართულებით, საქართველოს **საგარეო საქმეთა სამინისტრო** ლიდერობს, რომელმაც 2021 წლის 9 თვის განმავლობაში 920,000 ლარზე მეტი ხარჯი გასწია. სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის წარმოდგენილი დეტალები, თუ რა ღონისძიების ფარგლებში დაიხარჯა აღნიშნული თანხები, თუმცა მითითებულია კომპანიები, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები. ჯამურად ყველაზე დიდი თანხები სამინისტრომ შემდეგ კომპანიებს გადაუხადა:

კომპანია	თანხა
შპს არტ ბიურო	145,793.54
შპს პრემიუმ ღონისძიებები	136,739.00
სს "ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი"-ს წარმომადგენლობა საქართველოში	122,695.45
შპს პიუმა ივენთსი	110,719.00
შპს TV პროექტი	96,100.00
შპს წინანდლის მამულები	74,044.10

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯამური 198,500 ლარით. აღნიშნული ხარჯები არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, ისევე როგორც სხვა ხარჯებთან დაკავშირებული მონაცემები. კერძოდ, უცნობია, რა სახის ღონისძიებებისათვის იყო გათვალისწინებული მოცემული თანხები, კონკრეტულად რა სახის მომსახურებას მოიცავდა, რომელი კომპანიები ასრულებდნენ ხელშეკრულების პირობებს და რა კატეგორიებად ნაწილდებოდა ჯამური ხარჯები.

იდენტური სახით მოგვაწოდა ინფორმაცია **იუსტიციის სამინისტრომაც**, რომელიც მსგავსი ხარჯების რაოდენობით მეორე ადგილს იკავებს.

რაც შეეხება **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს**, ამ შემთხვევაში მიღებული დოკუმენტებით შესაძლოა როგორც ხარჯების კატეგორიების, ისე სხვა დეტალების ანალიზი. კერძოდ, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ჯამური ხარჯიდან 26,500 ლარამდე სარესტორნო მომსახურებაზე მოდის, ხოლო 27,000 ლარზე მეტი სხვა ხარჯებზე (სასმელი წყალი, ყავა, ჩაი, ტკბილეული, ა.შ).

სარესტორნო მომსახურებიდან ყველაზე დიდი თანხა, 12,000 ლარამდე, სამინისტრომ რესტორან "ფუნიკულიორში" გადაიხადა, სადაც თურქეთის სოფლის მეურნეობის და ტყის მინისტრის თანმხლები დელეგაციით საქართველოში ოფიციალური ვიზიტი გაიმართა. ჯამში 7,000 ლარამდე გადახდილი რესტორანი „გურამიშვილის მარანისთვის", სადაც სხვადასხვა დროს სამინისტრომ უნგრეთის დელეგაციასა და სომხეთი ეკონომიკის სამინისტროს

დელეგაციას უმასპინძლა. რესტორანი ეკუთვნის კომპანია შპს „კახურ ტრადიციულ მეღვინეობას", რომელმაც 2016-2017 წლებში პარტია „ქართულ ოცნებას" ჯამურად 240,000 ლარი შესწირა. კომპანიის 100% წილის მფლობელი ზურაბ ჩხაიძეა, რომელმაც 2018-2021 წლებში მმართველი პარტიის სასარგებლოდ 180,000 ლარი შესწირა. ამავე პარტიის შემომწირველია კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს 2 წევრი, კობა ხარხელი და თეა თებიძე.

სამინისტრომ 1,500 ლარამდე დახარჯა რესტორან „ვინოტელის" მომსახურებაში, სადაც ლოკოკინების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორს უმასპინძლა. ამავე რესტორანში კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) წარმომადგენლების გამასპინძლება სამინისტროს 3,000 ლარამდე დაუჯდა. რესტორნის მესაკუთრე კომპანიის დირექტორი, ბენედიქტე ქაშაკაშვილი მმართველი პარტიის შემომწირველია და ჯამურად 170,000 ლარის დონაცია აქვს გაღებული, საიდანაც 60,000 ლარი 2020 წელს შესწირა.

ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების ხარჯი

2021 წელს 8 სამინისტრომ ჯამურად სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაში **17 მლნ ლარამდე დახარჯა.** აღნიშნულ მომსახურებაში მოიაზრება სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ მოიცავს აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაციას.



როგორც წინამდებარე გრაფიკიდან ჩანს, ყველაზე დიდი თანხა **შინაგან საქმეთა სამინისტროს** აქვს დახარჯული, თუმცა აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით შეინიშნება მსგავსი **ხარჯების მკვეთრი შემცირება.** კერძოდ 2020 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმავე მომსახურებაში 15 მლნ ლარამდე ჰქონდა დახარჯული. კლება ფიქსირდება ყველა იმ სამინისტროს შემთხვევაში, რომლებმაც მოგვაწოდეს 2020 წლის მონაცემებიც, თუმცა სხვაობა უმეტესად მკვეთრი არ არის.

რაც შეეხება კომპანიებს, რომელთა ტექნიკური მომსახურებით სამინისტროები სარგებლობენ, მრავალფეროვანია. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის, თავდაცვის, ფინანსთა, ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა ინფორმაცია ჩაშლილი სახით არ მოგვაწოდეს. შესაბამისად, შეუძლებელია დადგენა, თუ რომელი კომპანიებთან გადაირიცხა საბიუჯეტო თანხები. გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროების შემთხვევაში თანხები მიემართებოდა შემდეგ კომპანიებში:

	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ინფრასტრუქტურის სამინისტრო	განათლების სამინისტრო
შპს მაქსსერვისი	78,941	48,149	–
შპს თეგეტა მოტორსი	5,605	8,751	10,936
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	–	21,407	–
შპს რინ აუტო	–	–	92,569
შპს ამბოლი	–	8497	3,924
შპს მ.ბ	–	–	4,008
შპს ავტოსერვისცენტრი+	–	–	4,085

შპს გრინვეი საქართველო	–	–	1,500

სამინისტროებში განხორციელებული შიდა აუდიტები

სამინისტროებიდან გამოთხოვილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, IDFI დაინტერესდა სამინისტროებში განხორციელებული შიდა აუდიტორული დასკვნებით. 9 სამინისტროდან, რომელმაც ორგანიზაციას ინფორმაცია მიაწოდა, **ექვსმა უარი თქვა შიდა აუდიტის დასკვნების გაცემაზე**. უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ შიდა აუდიტის დოკუმენტაცია არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, ან, რომ შეიცავს პერსონალურ თუ სხვა სახის სენსიტიურ ინფორმაციას, რის გამოც საჯარო უწყებას არ აქვს უფლება გასცეს მსგავსი დოკუმენტაცია. აღნიშნულ საკითხზე IDFI-მ 2015-2017 წლებში სასამართლო დავა აწარმოა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომლის შედეგადაც სასამართლოს ორმა ინსტანციამ დაადგინა, რომ **"ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ყველას აქვს უფლება იცოდეს საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები".** აღნიშნულ საქმეზე სამინისტროს საჩივარი კი უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო.

შიდა აუდიტორული შემოწმების დოკუმენტაცია IDFI-ის მხოლოდ განათლების, ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა მიაწოდა. განათლების სამინისტროს შემთხვევაში, IDFI-მ მიიღო პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შიდა აუდიტორული ანგარიში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების ეფექტიანობის ანგარიში, სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული ანგარიში, ა(ა)იპ ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის შიდა აუდიტორული ანგარიში, ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის ქვეპროგრამის შიდა აუდიტორული ანგარიში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არაგეგმიური შიდა აუდიტორული ანგარიში.

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შიდა აუდიტორული ანგარიშის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში გამოვლინდა კონტროლის ეფექტური მექანიზმების ნაკლებობა, გაცემულ დაფინანსებასა და ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს შორის დიდი სხვაობა, შრომის ანაზღაურებისა და დანამატის გაცემის წესის არარსებობა, დაფინანსების მიზნებისა და მიღწეული შედეგების თანხვედრის ანალიზის პრობლემა და ა.შ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების ეფექტიანობის ანგარიშში პრობლემად გამოიკვეთა დაფინანსების სისტემის ბუნდოვანება და მისი პოლიტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების არარსებობა. სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული ანგარიშით ირკვევა, რომ დაწესებულების ძირითადი ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში იყო

გამოვლენილი და ამ მიმართულებით კონტროლის მექანიზმების ნაკლებობა წარმოადგენდა პრობლემას. ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის ქვეპროგრამის შიდა აუდიტორული ანგარიშის მიხედვით, ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ხელშეკრულებებში ცვლილებების არ ასახვა, მიღება-ჩაბარების აქტების არარსებობა ან გვიან გაფორმება, დოკუმენტაციის სამინისტროსათვის წარდგენის ვადების დარღვევა და ზოგადად, სუსტი კონტროლის მექანიზმები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არაგეგმიური შიდა აუდიტორული დასკვნის თანახმად კი, ცენტრს ზოგიერთ შემთხვევაში, აკრედიტაციის პროცესში ჰქონდა დარღვეული ვადები. ამავე პროცესში კი გამოვლინდა ხარვეზები, რომლებმაც აკრედიტაციის მაძიებელი ზოგიერთ შემთხვევაში, არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან IDFI-მ მიიღო სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების სისტემური აუდიტის ანგარიში. დასკვნის თანახმად, არ არის შემუშავებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამების მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების დოკუმენტაციის სანდოობის შეფასებასა და ასანაზღაურებელი თანხების მიზნობრიობის დადასტურებას. ამასთან, სააგენტოს ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი სამართლიანად არ ასახავდა ინფორმაციას გარკვეული პერიოდის სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესახებ, რადგან შეძენილ მატერიალურ მარაგებს ხარჯად აღიარებდა ისე, რომ აღნიშნული პროცედურა არ აკმაყოფილებდა ხარჯად აღიარების კრიტერიუმებს. კონტროლის მექანიზმების სისუსტეებში ხაზგასმულია შესყიდული საქონლისა და მომსახურების ხარისხობრივი მონაცემების ადეკვატურობის დადასტურება დადგენილ სტანდარტებთან და ა.შ

საგარეო საქმეთა სამინისტრომ IDFI-ის აუდიტორული შემოწმების 6 დასკვნა მიაწოდა. დოკუმენტაცია მოიცავს სომხეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთის რესპუბლიკაში, მალაიზიაში, კატარის სახელმწიფოსა და სლოვენიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოებისა და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის აუდიტორული შემოწმების ანგარიშებს.

ანგარიშების მიხედვით, გამოიკვეთა სხვადასხვა სახის როგორც ფინანსური, ისე ორგანიზაციული პრობლემები. მაგალითისათვის, კატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს 2017-2021 აუდიტორული შემოწმების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017-2020 წლებში საელჩოს მიერ არ ხდებოდა ავტომობილების დაზღვევისათვის წინასწარ გადახდილი თანხის დებიტორულ დავალიანებად აღრიცხვა და ეტაპობრივი ჩამოწერა; მსგავსი ხარჯების ჩამოწერა ფაქტიურ ხარჯში ხდებოდა ერთიანად, რის გამოც ანგარიშებში წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯი არ შეესაბამება რეალობას.

ასევე, დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვიზის მიღება-გაგზავნაზე პასუხისმგებელი პირი არის საელჩოს ყოფილი თანამშრომელი.

ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის აუდიტის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ყოფილი ფინანსური მენეჯერის მიერ სისტემატურად ხდებოდა მისიის მიმდინარე ანგარიშზე გაურკვეველი თანხების გადარიცხვა. საბანკო ამონაწერითა და

ბუღალტრული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მიზნობრიობის გარეშე გადარიცხულ თანხებს, ყოფილი ფინანსური მენეჯერი მოგვიანებთ ისევ აბრუნებდა წარმომადგენლობის ანგარიშზე. აუდიტორები ვარაუდობენ, რომ ფინანსური მენეჯერი მისიის ანგარიშზე არსებულ საბიუჯეტო სახსრებს პირადი მიზნებისთვის იყენებდა.

დასკვნის თანახმად, 2018 წელს —ის[1] მიერ პირად ანგარიშზე გადაირიცხა 852.25 ევრო, რომელიც ბუღალტრულად გატარდა როგორც მერსედესის მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების ხარჯი. გაწეულ ხარჯთან დაკავშირებით წარმომადგენლობაში არ იძებნება შესაბამისი ანგარიშფაქტურა. კონკრეტული მომსახურების გაწევას არ ადასტურებს მერსედესის ცენტრიც, რომელსაც მისიამ მიმართა ანგარიშფაქტურის გამოსათხოვად. აუდიტი ამბობს, რომ გაურკვეველია, რა მიზნით განხორციელდა აღნიშნულ კომპანიასთან ამგვარი ანგარიშსწორება, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენ შემთხვევებში, მერსედესის ცენტრის მომსახურების გადახდა ხორციელდებოდა წარმომადგენლობის მიმდინარე ანგარიშიდან.

ამასთან, 2017 წელს ყოფილმა ფინანსურმა მენეჯერმა წარმომადგენლობის ოფისში შიდა ქსელის მოსაწყობად პირად ანგარიშზე გადაირიცხა 3,545 ევრო. ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო HBE ELECTRICITE-სთან, სამუშაოს შესრულების აქტში კი მითითებულია, რომ ანგარიშსწორება ნაღდი ფულით განხორციელდა. თავად აქტი კი არ არის ბეჭდით დამოწმებული. აღნიშნული კომპანია 2020 წლის სექტემბრიდან ლიკვიდირებულია, შესაბამისად, აუდიტმა ვერ მოახერხა მათგან დამატებითი ინფორმაციის მოძიება.

მალაიზიაში საქართველოს საელჩოს აუდიტორული შემოწმების დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2014-2018 წლებში ფიქსირდება სალაროს წარმოების წესის მრავლობითი და უხეში დარღვევები, ყოფილი ფინანსური მენეჯერი საბანკო ანგარიშიდან თანხების განაღდებისას არ აწარმოებდა შესაბამის სალარო ოპერაციებს. აუდიტს სრულად ვერ მიეწოდა აღნიშული პერიოდის ამონაწერები. აუდიტორების შეფასებით, აღნიშული მიუთითებს დოკუმენტაციის არასწორ შენახვასა და საქმისწარმოების პროცედურების დარღვევაზე.

2014-2019 წლების ფინანსური ანგარიშები წარდგენილია არსებითი შეცდომებითა და ხარვეზებით, რაც ეწინააღმდეგება ბუღალტრულ ინსტრუქციას.

აღინიშნა შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნებზე გაცემული ვიზების საქმეებში არ არის წარმოდგენილი წარმომადგენლების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, აგრეთვე მშობლების თანხმობა არასრულწლოვანის სახელზე ვიზის გაცემის თაობაზე.

საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს აუდიტორული შემოწმების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2018-2020 წლებში სალარო ოპერაციები ნაწარმოებია შესაბამისი მიზნობრიობის გარეშე. ერთეული შემთხვევის გარდა, სალაროს შემოსავლის ორდერები არ ასახავს ინფორმაციას თანხების განაღდების აუცილებლობასა და მიზნობრიობაზე.

[1] სახელი და გვარი ორიგინალ დოკუმენტში დაშტრიხულია

ამასთან, ფინანსური მენეჯერის მიერ არაკანონიერად მითვისებულმა ბიუჯეტის კუთვნილმა თანხამ შეადგინა 47,196 ევრო, საიდანაც 2020 წლის მაისი-ივნისის თვეში 14,018 ევროს ოდენობის ვალდებულება დაიფარა, დარჩენილი თანხა კი ექვემდებარება ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაურებას ფინანსური მენეჯერის მიერ.

დასკვნაში ასევე ვკითხულობთ, რომ 2018-2019 ფინანსურ ანგარიშებში (ბალანსებში) აღრიცხული სალაროს ნაშთები არ შეესაბამება რეალობას და აღნიშნულ წლებში საელჩოს ფინანსური მენეჯერის მიერ ხდებოდა ფინანსურ ანგარიშებში არასწორი მონაცემების ასახვა.

დასკვნა

2021 წლის საწყის 9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ანალიზი აჩვენებს, რომ **პანდემიით გამოწვეული კრიზისული მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ბიუროკრატიული ხარჯების ოპტიმიზაცია.** ამასთან, ცალკეული სამინისტროების მიხედვით მონაცემების ანალიზი მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს ბიუროკრატიული ხარჯების შესაბამისობას არსებულ გამოწვევებთან. მაგალითად, 2021 წლის 9 თვის მდგომარეობით, სამინისტროებს შორის, **მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს არ გაეზარდა შრომის ანაზღაურების ხარჯი**, რომელიც უშუალოდ ჩართული და პასუხისმგებელი იყო პანდემიის მართვაზე.

მნიშვნელოვან პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს, მთელი რიგი სამინისტროების მიერ ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავის არიდება და ბიუროკრატიული ხარჯების განკარგვასთან დაკავშირებული პროცესის გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სამინისტროების მცირე ნაწილმა საერთოდ არ გასცა, ნაწილმა კი არასრულყოფილად გასცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რაც აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ეფექტური მონიტორინგის პროცესს. ხშირ შემთხვევაში, მიუხედავად მოთხოვნილი ჩაშლილი ინფორმაციისა, სამინისტროები გასცემენ მხოლოდ ჯამურ მონაცემებს, რაც შეუძლებელს ხდის სრულყოფილ კვლევას და ანალიზს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სამინისტროების შიდა აუდიტორული ანგარიშები კვლავ შეზღუდულად არის ხელმისაწვდომი და მათ გაცემაზე უარი ხშირად დასაბუთებულია კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის შეუძლებლობით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა ცალსახად მიუთითებს, **„ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ყველას აქვს უფლება იცოდეს საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები",** სამინისტროები კვლავ თავს არიდებენ მსგავსი ინფორმაციის გაცემას.

IDFI კიდევ ერთხელ მოუწოდებს ხელისუფლებას **უზრუნველყოფილ იქნას საბიუჯეტო ხარჯების მაქსიმალური გამჭვირვალობა.** კერძოდ, კანონის მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყოს საჯარო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი გაცემა, მთავრობის დადგენილების შესაბამისად ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ხოლო შიდა აუდიტორული ანგარიშების საჯაროობის საკითხზე იხელმძღვანელონ სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20 | +995 32 2 921514 | INFO@IDFI.GE | WWW.IDFI.GE